- ჩგ. წ. აღ-მდე 9 წელს** რომში, მარსის მოედანზე, ავგუსტუსის ბრძანებით მშენებლობის სამსახურებო აკურთხეს.
- 1489 წელს** პირველად დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვის სახელმწიფოსა და რომის წმინდა იმპერიას შორის.
- 1628 წელს** დაიბადა ინგლისელი ჰერცოგი, კარლ II-ის ფაფორიტი ჯორჯ ჰეინგემი.
- 1649 წელს** სიკვდილით დასაჯეს ინგლისის მეფე კარლ I.
- 1661 წელს** ინგლისის რევოლუციის ლიდერის ოლივერ კრომველის გვამი ჩამოაბრწყინეს და თავი მოჰკვეთეს.
- 1731 წელს** პეტრე I-ის არმიამ ფრიდრიხშტადტთან (ჩრდილოეთ გერმანია) ბრძოლაში შედეგი დაამარცხა.
- 1730 წელს** უმაღლესმა საიდუმლო საბჭომ რუსეთის ტახტზე ანა ივანოვნა აიყვანა.
- 1790 წელს** მსოფლიოში პირველად ინგლისში სამაშველო კანჯო გამოიყენეს.
- 1882 წელს** დაიბადა ფრანკლინ დელანო რუზველტი.

# ტუტანჰამონი აპიაკატასტროფაში დაიღუპა?

ისტორიკოს უილიამ დეივის აზრით, ფარაონი ტუტანჰამონი 3300 წლის წინათ, შესაძლოა, ავიაკატასტროფაში დაღუპულიყო. ასეთი დასკვნა მკვლევარმა ქაიროს მუზეუმში დაცულ ქანდაკებაზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად გააკეთა.




რიმენტო ნიშნის გამოცდაც. დეივისმა საქმეს სწორედ ეს მასალები დაურთო. მისივე განცხადებით, ძველი ეგვიპტის მმართველი ოჯახების ბევრ წევრს მრავლობითი მოტეხილობა აღენიშნება, რაც სიმალლიდან ვარდნის შედეგი შეიძლება იყოს. მეცნიერის მტკიცებით, იმ დროს პრინციული პლანეტების არსებობა საეგვიპტო დასაშვებია.

ზოგი ექსპერტის აზრით, მათ ხელთ ჩავარდნილი მოდელი პლანეტის პროტოტიპს წარმოადგენს. საფრენი მახასიათებლები ურიგო როდი აქვს, — ამბობენ ისტორიკოსები, რომლებმაც თავიანთი ჰიპოთეზა აეროდინამიკური მილის მეშვეობით შეამოწმეს. აღსანიშნავია, რომ წარმატებით დასრულდა არა მარტო მინიატიურული პროტოტიპის, არამედ საგანგებოდ ამ გამოკვლევისთვის ავებული სრულზომიანი საქვსებე-

# გაურინარკოზული ფაეტონის საიდუმლო

მილიონობით წელია, ვარსკვლავებით მოჭედული ცა თავისი იდუმალებით ადამიანების ყურადღებას იზიდავს. დროთა განმავლობაში ადამიანებმა წიგნივით ისწავლეს ვარსკვლავებიანი ცის კითხვა, მაგრამ კოსმოსის უამრავი საიდუმლო დღემდე ამოუხსნელი დარჩა. ერთ-ერთი მათგანი კი პლანეტა ფაეტონის გაურინარებას უკავშირდება.



ოდრავა. მათ გაერთიანება ველარ შეძლეს და პროტოასტეროიდების ნაწილმა მზის სისტემა დატოვა, მეორე ნაწილი კი დროდადრო კომეტების სახით დედამიწაზე ბრუნდება. ოლბერსის თეორიას ეჭვქვეშ აყენებს ბევრი თანამედროვე მეცნიერიც. XX საუკუნის 70-იან წლებში გავრცელდა მოსაზრება, რომ ფაეტონი საერთოდ არ არსებობდა. იყო მხოლოდ პროტოპლანეტის ნისლეულის პირველადი ნივთიერების ნარჩენები, რომლისგანაც მარსსა და იუპიტერს შორის ასტერიოიდული სარტყელი წარმოიშვა.

საქართველოში ინახება 1561 წლის დოკუმენტი, სადაც ნახსენებია, რომ მარსის მახლობლად კიდევ ერთი ვარსკვლავია. უძველესი შუამდგომლობის თიხის ფორფიტებზე (ჩგ.წ. აღ-მდე IV საუკუნე) მოიპოვება ცნობები, რომელთა თანახმადაც მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის ადამიანებმა „უჩინარი პლანეტა“ შენიშნეს. ასეთივე ცნობას ძველჩინურ ჟამთააღმწერლობაშიც შეხვდებით.

1766 წელს გერმანელმა ასტრონომმა, ფიზიკოსმა და მათემატიკოსმა იოჰან ტიტციუსმა ჩამოაყალიბა, ხოლო მეორე გერმანელმა ასტრონომმა იოჰან ბოდენმა დაასაბუთა პლანეტათა შორის მანძილზე რიცხობრივი კანონზომიერება. ამ კანონზომიერების მიხედვით, მარსსა და იუპიტერს შორის უნდა ეარსებოდა „პლანეტა №5“-ს. ტიტციუს-ბოდენის წესის გამოთვლები დაადასტურა მოგვიანებით ურანის, ნეპტუნისა და პლუტონის აღმოჩენამ. XVIII საუკუნის ბოლოს გერმანის ქალაქ კატემში გამართულ კონგრესზე გადაწყდა მოსაკლისებული პლანეტის ძებნის დაწყება. თუმცა არც ერთ ასტრონომს, რომელსაც ეს დაევა, არ გაუშარტა. პლანეტა 1801 წელს პალერმოს ობსერვატორიის დირექტორმა ჯუზეპე პიაციმ აღმოაჩინა. როცა ამა კოსმოსური სხეულის ორბიტა გამოითვალეს, აღმოჩნდა, რომ ის მზიდან ზუსტად იმ მანძილზე მოძრაობდა, რომელსაც ტიტციუს-ბოდენის წესი წინასწარმეტყველებდა. სიცილიის მფარველი ღმერთქალის საპატივცემოდ მას ცერერა უწოდეს. მოკლე ხანში მეცნიერთა სიხარული ახალი აღმოჩენების ჯაჭვმა დაჩრდილა. 1802 წელს იუპიტერსა და მარსს შორის კიდევ ერთი პა-

ტარა პლანეტა — პალადა აღმოაჩინეს, 1804 წელს მესამე — იუნონა, ხოლო 1807 წელს — ვესტა. ამგვარად, იმ ადგილას, სადაც ერთი დიდი პლანეტის აღმოჩენას იმედოვნებდნენ, ოთხ პატარა ციურ სხეულს მიაკვლიეს. ამასთან, პატარა პლანეტების აღმოჩენის (მათ ასტეროიდებსაც, ანუ „ვარსკვლავების მსგავსსაც“ უწოდებენ) ნაკადი არ შემწყდარა და 1890 წელს 300-ზე მეტი ასეთი ციური სხეულის შესახებ იყო ცნობილი. ასტრონომებმა მტკიცედ ირწმუნეს, რომ მარსსა და იუპიტერს შორის მზის გარშემო ორბიტებზე მცირე პლანეტათა მთელი ორობიერა იდგა. დღეისათვის ცნობილია 2000-მდე ასტეროიდი; ზოგიერთი მონაცემით, მათი რაოდენობა, შესაძლოა, 7000-საც აღწევდეს. ყველა მათგანი მზიდან დაახლოებით იმავე მანძილზე მოძრაობდა, რაზეც ცერერა — 2.8 ასტრონომიული ერთეულზე (ერთი ასტრონომისა და პლუტონის აღმოჩენამ. XVIII საუკუნის ბოლოს გერმანის ქალაქ კატემში გამართულ კონგრესზე გადაწყდა მოსაკლისებული პლანეტის ძებნის დაწყება. თუმცა არც ერთ ასტრონომს, რომელსაც ეს დაევა, არ გაუშარტა. პლანეტა 1801 წელს პალერმოს ობსერვატორიის დირექტორმა ჯუზეპე პიაციმ აღმოაჩინა. როცა ამა კოსმოსური სხეულის ორბიტა გამოითვალეს, აღმოჩნდა, რომ ის მზიდან ზუსტად იმ მანძილზე მოძრაობდა, რომელსაც ტიტციუს-ბოდენის წესი წინასწარმეტყველებდა. სიცილიის მფარველი ღმერთქალის საპატივცემოდ მას ცერერა უწოდეს. მოკლე ხანში მეცნიერთა სიხარული ახალი აღმოჩენების ჯაჭვმა დაჩრდილა. 1802 წელს იუპიტერსა და მარსს შორის კიდევ ერთი პა-

აგზა. ცხვენებმა იგრძნეს, რომ ათ მტკიცე ხელი არ მართავდა და აიწყვიტეს. როცა ორთავალა დედამიწას სახიფათო მანძილზე მოუახლოვდა, ჩვენს პლანეტას ცეცხლი მოედო. დედამიწის გადასარჩენად მეხთამტყორცნელმა ზევსმა ორთავალს ელვა სტყორცნა. ფაეტონი მინას დაენარცხა და დაიღუპა. ამგვარად, ლამაზმა ლეგენდამ რეალური მეცნიერული დასაბუთება პოვა. მართალია, ოლბერსის ზოგიერთი თანამედროვე (ე. პერმელი, ლავერი, პ. ლალასი) ასტეროიდათა წარმოშობის შესახებ განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამდა, მაგრამ მეტი პოპულარობით მაინც ოლბერსის თეორია გავრცელდა. მისი ჰიპოთეზა იმდენად დამაჯერებელი ჩანდა, რომ ფაეტონის არსებობას საყოველთაოდ აღიარებდნენ 1944 წლამდე, ო. შმიდტის კოსმოლოგიური თეორიის შექმნამდე, რომელმაც ასტეროიდების წარმოშობას სხვაგვარი ახსნა მოუძებნა. ამ თეორიის თანახმად, ასტეროიდები ფაეტონის ნამსხვრევები კი არა, რომელიცა ბოლომდე წარმოუშობი პლანეტის მატერიაა. პლანეტების წარმოშობის გაირიყაზე, დაახლოებით 4 მლრდ წლის წინათ ახალგაზრდა მზე გარშემოტყვული იყო აირისებრი მტვერებიანი ღრუბლით, რომლის დაშლის შედეგად წარმოიქმნა თანამედროვე ასტეროიდების ზომის კოსმოსური სხეულები. ყველაზე სწორად ეს პროცესი ამჟამინდელი იუპიტერის ორბიტის რაიონში მიმდინარეობდა, სადაც ყველაზე დიდი პლანეტა წარმოიქმნა. მზარდმა იუპიტერმა დროთა განმავლობაში პროტოასტეროიდები თავისი ზონიდან განდევნა და ქაოტურად აამ-

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ფაეტონი ვულკანური აქტივობის შედეგად დაიღუპა, ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ პლანეტა ბრუნვის სინრაფის ცენტრიდანულმა ძალამ დაფლითა. ზოგიერთის თვალსაზრისით, ის საკუთარ თანამგზავრს შეეჯახა ანდა იუპიტერთან სახიფათო მანძილზე მიახლოებამ განადგურა. ბევრი მეცნიერი ფაეტონის აფეთქებას დინოზორების დაღუპვასა და დედამიწაზე სიცოცხლის ახალი ფორმების ევოლუციური პროცესის დაწყებას უკავშირებს. დღეისათვის აქტიურად მუშავდება ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც პლანეტა ფაეტონი არ დაღუპულა და არსებობას პლუტონის გარე ორბიტაზე აგრძელებს. განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლისად (პლანეტადან ვარსკვლავად გადაქცევისას), 4 მლრდ წლის წინათ, მან თავისი მასის 10 პროცენტი დაკარგა, რომელიც შემდეგში მზის სისტემის ასტეროიდული სარტყელად იქცა. დღევანდლამდე ფაეტონის აღმოჩენის ყველა მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა, თუმცა მზის სისტემაში უცხო გრავიტაციული ველის არსებობა, დიდი ხანია, შემწეულია. 1997 წელს ამერიკელმა ასტრონომებმა განაცხადეს, რომ მზის სისტემის პერიფერიაზე მომცრო პლანეტა აღმოაჩინეს. ის მზის გარშემო ელიპტიკურ ორბიტაზე ბრუნავს, მზათვის 35 ასტრონომიური ერთეულით უახლოვდება და 130 ასტრონომიული ერთეულით შორდება. იქნება, სწორედ ესაა პლანეტა ფაეტონი? იქნებ სწორედ ეს ვარსკვლავიდანახეს 2000 წლის წინათ აღმოსავლეთიდან მომავალმა მოგვემამა? ამ და „უჩინარი პლანეტის“ საიდუმლოსთან დაკავშირებულ სხვა მრავალ კითხვაზე პასუხის გაცემა მეცნიერებს მომავალში მაინც მოუწევთ...

# «მფრინავი კოლანდილი» სოხალდი-მორვენიება

სოხალდი იმედის კონცხის სიახლოვეს შტორმში მოყვა. ღვთისმგობელმა კაპიტანმა ვან-სტრატენმა, რომლის გემები სტიქიამ ჩაშალა, დაიფიცა, რომ მიზნის მისაღწევად ემშაქსაც კი შეეკვრებოდა... მაშინ ცა გაიხსნა და იქიდან გემბანზე შავმა აჩრდილმა გადმოაბიჯა. „ნავსაყუდელს ვერსად ჰპოვებ და სამყაროს აღსასრულამდე ზღვებსა და ოკეანებს დალაშქრავ. წყეულმც იყავ, კაპიტანო!“ — წარმოთქვა აჩრდილმა.



ძირგამომპალი ხომალდი მას შემდეგ თანამედროვე კეიპტაუნის სიახლოვეს დაძრვის და შიშის ზარს სცემს გამოცდილ მეზღვაურებსა და ნორჩ იუნგებს, რომლებსაც „მფრინავი კოლანდილის“ გამოჩენისას თავის გადასარჩენად ჯადოსნური სიტყვების წარმოთქმას ურჩევდნენ, თუმცა თავად ეს სიტყვები არაფერ იცის...

ძულმალტას მიუახლოვდა ხომალდი, რომლის კაპიტანიც და ეკიპაჟის წევრებიც ციებ-ციხელებას შეეპყრო. როცა ამის შესახებ მალტის ორდენის დიდ მაგისტრს მოახსენეს, მან პორტიდან გემის გაძევება ბრძანა. მაშინ ხომალდმა ტუნისისკენ აიღო გეზი, მაგრამ ნავსაყუდელში იქაც არ შეუშვეს, ისევე, როგორც მოგვიანებით — ნეაპოლში, საფრანგეთსა და ინგლისში... ბოლოს და ბოლოს მიუსაფარი ხომალდი, რომელიც გვაშების მცურავ კუნძულად იქცა, თვალსაჩინოდან გაუჩინარდა.

— ხომალდი ვეებერთელა ღრუბელმა დაფარა და წელნელა ცისკენ აზიდდა ინყო. ინგლისური ქვემეხები დადუმდნენ, რადგან სამიზნე — ფრანგების გემი გაუჩინარდა. ჰოდა, მას შემდეგ უკვე არაერთი ასწლეულია ცხაბა და ზღვებზე ხომალდი-მორვენიება დასრიალებს. მეთევზეები ირწმუნებიან, რომ მისი ხილვა ყოველი შტორმის წინ შეიძლება.

### „ზღვის ფრინველი“ და მისტიკა

1850 წლის ერთ მზიან დღეს როდ-აილენდის შტატის სანაპიროზე, ქალაქ ნიუპორტის მახლობლად გემი „ზღვის ფრინველი“ გამოჩნდა, რომელიც ვეება ტალღამ პირდაპირ ხმელეთზე გამოიჩინა. ხომალდზე კაციმხოლოდ არ ჭაჭანებდა, კამბუზში კი ჩაიდანი თუხთუხებდა და თამბაქოს სუნიც იგრძნობოდა, მაგიდაზე კი თევზები ელაგა. საგულდაგულოდ ჩატარებული გამოძიების მიუხედავად, ვერაფერ და-

ადგინა, სად გაქრა ეკიპაჟი. 1913 წელს ინგლისური თბომავლის „ჯონსონის“ სამაშველო ჯგუფი მოდრეფე ხომალდზე ავიდა, რომლის აფრებიცა და ანტიბიცი მომწვანო ობს დაეფარა, გემბანის ფიცრები დაშალა, ბორტზე კი სანახევროდ გადაცლილი წარწერა — „მალბორო“ ძლივდღივობით იკითხებოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ „მალბორო“ 1890 წელს ახალი ზელანდიის პორტიდან გასულიყო. ბოლოს ის 1890 წლის 1 აპრილს, ცეცხლოვანი მიზნის მახლობლად დაინახეს. ხომალდი ზღვებში 23 წლის განმავლობაში დაცურავდა!

1997 წლის აგვისტოში ნახშირის მეფე დონალდ დუქსი საკუთარი იახტით მოგზაურობდა. ერთ დღესაც ჩრდილო-დასავლეთის ქარი ამოიწვია, რომელიც შტორმის დაწყებას წინასწარმეტყველებდა და თითქმის მაშინვე ჩადა. უცებ, ვახტაზე მდგარმა მეზღვაურმა დაიყვირა: „კაპიტანო, ხომალდი გვიახლოვდება!“ რამდენიმე წუთში აფრებიანი გემი ყველამ დაინახა. „საოცარია, — წამოიძახა კაპიტანმა, — ასეთ ხომალდებს უკვე 400 წელია აღარ აგებენ!“ როცა გემი მოახლოვდა, ეკიპაჟმა გემბანზე შეჯგუფული უძველესი დროის ტანსაცმლით შემოსილი ხალხი იხილა. ისინი პირდაღებული შეპყურებდნენ ამერიკელთა იახტას.

„მფრინავი კოლანდილის“ ფენომენი დღემდე აუხსნევია, თუმცა ის კვლავაც ლამპრავს ოკეანებს და მეზღვაურებს უწინდებურად შიშის ზარს სცემს...

## რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 27 იანვრიდან 3 თებერვალამდე

31 იანვარი

დღის ციტატა: „დაე, შემინდოს ღმერთმა ომის უკანასკნელი დღე...“ ადოლფ ჰიტლერი

- 1197 წელს დაიბადა ინგლისის კანცლერი უილიამ ლონგჩემპი, რომელიც რიჩარდ I-ის ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ქვეყანას მართავდა.
- 1606 წელს პარლამენტის შენობის აფეთქების მცდელობისთვის ინგლისელი შეთქმული გაიფოქსი სიკვდილით დასაჯეს.
- 1714 წელს პეტრე I-მა დაქორწინება აუკრძალა დიდგვაროვანთა შვილებს, რომლებსაც განათლება არ ჰქონდათ მიღებული.
- 1769 წელს დაიბადა ფრანგი აერონავტი, პარაშუტების შემქმნელი ანდრე-ჟაკ გარნერი.
- 1839 წელს ინგლისელმა ფიზიკოსმა ჯონ ტოლბოტმა ლონდონის სამეფო საზოგადოებას წარუდგინა მოხსენება მის მიერ აღმოჩენილი ფოტოგრაფიის პროცესზე.
- 1865 წელს აშშ-ში მონობა გაუქმდა.
- 1884 წელს დაიბადა გერმანელი პოლიტიკოსი, გფრ-ის პირველი პრეზიდენტი თეოდორ ჰეისი.
- 1912 წელს გაზეთ „ნიუ იორკ ივინგ ჯორნალში“ მსოფლიოში პირველი კომიქსების გვერდი გამოქვეყნდა.
- 1915 წელს გერმანიის ჯარებმა პირველად გამოიყენეს მომწამლები გაზი რუსული არმიის წინააღმდეგ.
- 1919 წელს პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის ეზოში ოთხი დიდი თავადი რომანოვი დახვრიტეს.
- 1921 წელს დაიბადა ამერიკელი მომღერალი და მსახიობი მერი ლანცა.
- 1924 წელს მიიღეს საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუცია.

1 თებერვალი

დღის ციტატა: „ყოველთვის, როცა ადამიანი სისულელეს სჩადის, ამას საუკეთესო განზრახვით აკეთებს.“ ოსკარ შაილდი

- 1411 წელს ტორუნის ზავით დასრულდა ტევეტონთა ორდენის ომი ლიტვასა და პოლონეთთან.
- 1692 წელს ინგლისის მეფის — ვილჰელმ III-ის ბრძანებით დააპატიმრეს მკდონალდა მთელი კლანი, რომლის უფროსმა დადგენილ ვადაზე ხუთი დღის განმავლობაში შეპყვიცა ერთგულება მეფეს.
- 1788 წელს დააპატიმრეს პირველი ამერიკული თბომავალი.
- 1793 წელს რევოლუციურმა საფრანგეთმა ინგლისსა და პოლონეთს ომი გამოუცხადა.
- 1810 წელს ფრანგებმა სევილია დაიპყრეს.
- 1814 წელს ვულკან მაიონის (ფილიპინები) ამოფრქვევის შედეგად 2200 კაცი დაიღუპა.
- 1816 წელს ტეხასი აშშ-ის შემადგენლობიდან გავიდა.
- 1857 წელს დაიბადა რუსი ნევეროლოგი და ფსიქიატრი, რევოლუციონარის ფუძემდებელი ვლადიმერ ბეზტერევი.
- 1864 წელს პრუსიამ და ავსტრიამ დანიის წინააღმდეგ ომი დაიწყეს.
- 1893 წელს აშშ-მა შავის კუნძულების ანექსირება მოახდინა.
- 1893 წელს ნიუ-ჯერსიში თომას ედისონმა მსოფლიოში პირველი კინოსტუდია „შვი მარია“ შექმნა.
- 1901 წელს დაიბადა ამერიკელი მსახიობი, ოსკაროსანი კლარკ გებლი.
- 1918 წელს სრულიად რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა ანათემას გადასცა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებას.

2 თებერვალი

დღის ციტატა: „ყველაფრის შეცნობა შეიძლება, საკუთარი თავის გარდა.“ სტენდალი

- 1033 წელს რომის წმინდა იმპერია ბურგუნდია შემოიერთა.
- 1238 წელს ბათო-ყაენის ჯარებმა დაიპყრეს და ნანგრევებად აქციეს მოსკოვი.
- 1461 წელს მარტიმერს-კროსესთან ბრძოლაში იორკების მომხრეებმა ლანკასტერების მომხრეები დაამარცხეს.
- 1530 წელს გამოცხადდა ჯვაროსნული ლაშქრობა.
- 1535 წელს ესპანელმა კონკისტადორმა პედრო დე მენდოსამ დააარსა ბუენოს-აირესი.
- 1556 წელს ცენტრალურ ჩინეთში პლანეტაზე დარეგისტრირებულ მიწისძვრათა შორის ყველაზე დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა (დაიღუპა 820 ათასი კაცი).
- 1665 წელს ქალაქ ნიუ ამსტერდამს სახელი გადაერქვა და იორკის შერცოვის საპატრიარქოლოდ ნიუ იორკი ეწოდა.
- 1709 წელს მას-ო-ტიერას კუნძულიდან ხომალდმა მეზღვაური ა. სელკირკი აიყვანა. ის რობინზონ კრუზოს პროტოტიპად იქცა.
- 1823 წელს ვენეციაში გაიმართა პრემიერა როსინის ოპერისა „სემირამიდა“.
- 1863 წელს ამერიკელმა მწერალმა სემუელ კლემენსმა ფსევდონიმად მარკ ტვენი აიღო.
- 1922 წელს პირველად გამოქვეყნდა ჯეიმს ჯოისის რომანი „ულისე“.

## კოსმოსური ბაღიში უკუღმრთისათვის

ახლახან ნასამ უჩვეულო ექსპერიმენტი ჩაატარა — 10 მ სიმაღლიდან ჩამოაგდეს შევულმფრენი, რომელიც სპეციალური უსაფრთხოების ბალიშით იყო აღჭურვილი. ბალიშის გამოსაცდელად, რომელსაც სამეცნიერო ენაზე „ენერჯის შთანთქმელი“ ჰქვია, ნასამ მეცნიერებმა 72 მეტრი ბაგირებიანი სტენდი გამოიყენეს.

შვეულმფრენის ფუნქციონირებას კვლევაში გამოიყენებენ სპეციალურ კონსტრუქტორ სოტირის კელასის მიერ შემუშავებული ექსპერიმენტული ბალიში მიამარგეს, რომელიც სინთეტური მასალისგანაა დაზადებული და რომლის გამოყენებასაც კოსმოსურ აპარატებში

როჭანჭიკები გამოიყენებენ და შევულმფრენმა ისე დაინყო ვარდნა, როგორც ნამდვილი ავარიისას. კორპუსი 33-გრადუსიანი კუთხით დაეშვა მიწისკენ და საათში 53 კმ/სთ-ის სიჩქარით შეეჯახა.

ცემისას შევულმფრენის კავერი გაიღუნა, მაგრამ ბალიშმა კორპუსს ზედპირითათ კონტაქტი აარიდა.

შვეულმფრენის კორპუსსა და კაბინაში მოთავსებულ მანეკენებს 169 გადამცემი ჰქონდათ მიერთებული, რომლებიც გადატვირთვებსა და დეფორმაციებს აფიქსირებდა, ხოლო „ავიაკატასტროფას“ თვალყურს კამერები ადევნებდა. მართალია, მიწაზე და-

სახალი წლის შემდეგ ინჟინრები შევულმფრენის გამოცდას ბალიშის გარეშე გეგმავდნენ, რათა მიღებული შედეგები ერთმანეთს შეადარონ. ყოველწლიურად აშშ-ში შევულმფრენების ჩამოვარდნისას 200-ზე მეტი ადამიანი ტრავმირდება. თუ ბალიშის გამოცდა წარმატებით ჩაივლის, გამოვლენება უამრავი მგზავრის სიცოცხლეს იხსნის.

## ვის იჩრავს სიკვდილი?

რა ელის „საიქიდან“ სასწაულით მობრუნებულ ადამიანს? რატომ ბრუნდებიან „იქიდან“ ერთეულები? რატომ, რომ სიკვდილის არჩევანი ამოუხსნელია? საუკეთესობის ის სულაც არ იჩრავს: იმქვეყნად მიდიან გენიოსებიცა და უბრალო მოკვდავებიც. მაშ, რაში მდგომარეობს ამ ფენომენის საიდუმლო?

გვეგვადნენ. ინჟინერ კარენ ჯეკსონის თქმით, მთანთქმელის გამოცდა რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული პირობებში მოხერხდა. „შვეულმფრენი 10,7 მ-დან ბაგირების საშუალებით ჩამოვარდებულ. როცა ის ძირს დაეშვა, ბაგირების მოსახსნელად პი-

მას სულით დაძაბუნებული ადამიანები სჭირდება! წარმავალი ხომ მხოლოდ მატერიაა, სული კი სამყაროს ეთერს მსჭვალავს, რათა კაცობრიობა კვლავაც განვითარდეს. ჰოდა, სიკვდილსაც აქვს თავისი ამოცანები და გეგმები. მისი ამოცანა მოკვდავთა შორის შესაფერის „კლიენტთა“ მოძებნაა და მიმშენებლობა არ აქვს მთავრება და რანგებს. მთავარი ისაა, რომ დაძაბუნებულ სულს აღარ შეუძლია სამყაროსული ეთერის ენერგიით გამჭვავება.



განაცოტაა ამქვეყნად ადამიანი, ვინც სიკვდილს ნატრობს, მაგალითად, უკურნებელი სენით შეპყრობილები, რომლებსაც გაუსაძლისი ტკივილი ტანჯავს, მაგრამ სიკვდილი ყურად არ იღებს მათ მუდარას; ანდა არამზადები, რომლებსაც სხვა ადამიანებისთვის ტანჯავა, სისხ-

ლისღვრა და ომები მოაქვთ, მაგრამ სიკვდილი არც მათ წაყვანას ჩქარობს. შთაბეჭდილება იქმნება, რომ მას თავისი „საკუთარი“ სია აქვს, რომლის მიხედვითაც მოქმედებს. მრავალწლიანმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ სიკვდილი სულაც არ იჩრავს ფიზიკურად დაძაბუნებულებს,

## როგორ იხადება კომეტა?

როგორც მეცნიერები ირწმუნებიან, დაახლოებით 250 მილიონი წლის წინათ გაჩენილი ორი მოზრდილი ასტეროიდი ახლახან ერთმანეთს შეეჯახა; შედეგად კოსმოსს კიდევ ერთი კომეტა — P/2010 შეემატა.



„ახალშობილი“ ძალზე უცნაურად იქცევა. ჯერ ერთი, ის აბსოლუტურად შეუფერებელ ადგილას — მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის მთავარ ასტეროიდულ სარტყელში მოკალათდა, მეორეც, კომეტისათვის აბსოლუტურად არატიპური ორბიტა აქვს — სხვა კომეტების ნაგრძე-

ლებული ელიფსისებური ნაცვლად მრგვალია. ასე რომ, P/2010 ასტრონომებს კარგა ხანს ეყოფათ თავსატეხად და, ალბათ, სულ ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილ კიდევ ერთ უცნაურ ასტეროიდს, კოსმოსური ხომალდის ნამსხვრევად მონათლულ 2010 AL30-საც დაავიწყებს.

## რატომ გაჩყლიტა მიაჰ ქეარკი?



**აშშ-ში სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ძალზე ორიგინალური დანაშაულის ჩამდენ ფუმფულა ქალს, რომელსაც თავისი ქმარი გაჩყლიტა.**

ტრაგედია ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდში მოხდა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, იმ საბედისწერო დღეს მია ლენდინგემ, რომელიც 160 კილოგრამს იწონებდა, ქმარს ეჩხუბა და ცხელ გულზე ზედ დააჯდა საბრალო მიკალ მიდლსტონს, რომლის 57-კილოგრამიანმა სხეულმა ამხელა სიმძიმეს ვერ გაუძლო და მოკვდა. იურისტებმა

რამდენიმე თვის განმავლობაში თავი იმტვირის ამ საქმეზე, ბოლოს კი ქალს რამდენიმე დღიანი საზოგადოებრივი შრომა დააკისრეს. მოსამართლე ქალბატონმა გაითვალისწინა მისი მრავალშვილიანობა და კიდევ მრავალი სხვა ფაქტორი. განაჩენის მოსმენის შემდეგ დამნაშავემ განაცხადა, რომ ნანობს საკუთარ საქციელს და ქმრის ნათესავებს პატიება სთხოვა.

## ვის უკრალავენ ქეარტან სიხლოვანს?

ბრიტანეთის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ქალაქ ნიუკასლში მცხოვრებ კეროლიან კარტრეიტს, რომელსაც ქმართან სიხლოვისას ხმამაღალ ყვირილში სდებდნენ ბრალს. ქალს რვაკვირიანი პირობითი სასჯელი და ერთწლიანი გამოსაცდელი ვადა მიესჯა.

მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული, უკვე 24 წელია, გათხოვილია, ამ პერიოდში მისი გრძნობები ვერ განელა. ხმაურით შენუხებული მეზობლები ირწმუნებოდნენ, რომ, რასაც ისინი ყოველ ღამით ისმენდნენ, აუტანელი ნამებისაგან გამონვეულ გმინვას უფრო ჰგავდა. საბრალო კეროლიანს 515 ფუნტი სტერლინგი ჯარიმის სახით გადაახდევინეს, აუკრძალეს საკუთარ სახლში ყვირილი, სიმღერა, ბრაზუნა, მუსიკის მოსმენაც კი. ოთხი წლის მანძილზე მას უფლება არ აქვს, თუნდაც მეზობლებისგან შორს, სადმე სხვაგან დაკავდეს „ხმაურიანი“ სექსით საკუთარ ქმართან.



# აშშ-ის საიდუმლო ისრაელი და ჰაიტის «ჰუმანიტარული ინტერვენცია»

ჰაიტში მიწისძვრა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ ჩატარებული გამოცდის შედეგია, — განაცხადა ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა და მას „აშშ-ის მიერ მოწყობილი სასენსორული მონიტორინგის“ უწოდა. შეგახსენებთ, საუბარია 12 იანვრის მიწისძვრაზე, რომელსაც, ზოგიერთი მონაცემებით, 200 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.



უგო ჩავესის ბრალდება საკმაოდ რთული დასამტკიცებელია, სამაგიეროდ ნათელია, რომ ამერიკამ ამ მიწისძვრის შემდეგ ჰაიტი ფაქტურად მიითვისა. კადრებში დასახიჩრებული ჰაიტელების გარდა აუცილებელ ელემენტებად იქცნენ ამერიკელი სამხედროები, რომლებმაც ტრაგედიიდან რამდენიმე დღეში ფაქტურად გადააგდეს ამ უბედურ ქვეყნის დედაქალაქი. როგორც ერთ-ერთმა ამ სამხედროთაგანმა ტელეკამერების წინ განაცხადა, ისინი ძმურად მოეპყრობიან ჰაიტელებს, თუ, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელები კარგად მოიქცევიან. კაპრალ-პარაშუტისტის ინტონაციას ეტყობოდა, რომ ამის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ამდენად, ვერც ჰაიტელები დატყუებიან ამერიკელთა ძმობით.

ნის აეროპორტში დისპეტჩერების ფუნქციები მთლიანად ჩაიბარეს ამერიკელებმა, რომლებიც პრიორიტეტს აშშ-ის რეისებს ანიჭებენ, სხვა, თუნდაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული ტვირთით სავსე თვითმფრინავებს კი დაჯდომის უფლებას არ აძლევენ. საქმე ისაა, რომ ჰაიტის დედაქალაქის აეროპორტი ტრაგედიის შემდეგ სრული დატვირთვით ვერ მუშაობს, ის ასაფრენი ბილიკები, რომლებიც მწყობრშია, სამხედროებით, იარაღითა და სამაშველო ოპერაციებთან აბსოლუტურად არაფრით დაკავშირებული ალტერნატივებით დატვირთულმა ამერიკულმა სამხედრო თვითმფრინავებმა დაიკავეს.

ამერიკელების მიმართ ფრანგების ნამოყენებულ ბრალდებას მხარს უჭერს საერთაშორისო ორგანიზაცია „ექიმები საზღვრებს გარეშე“. მისი წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამერიკელები უკან აბრუნებენ ჰუმანიტარული მიზნების თვითმფრინავებს, რითაც ასეულ ათასობით დაზარალებულის სიცოცხლეს აყენებენ საფრთხის ქვეშ. მათივე თქმით, ამ დროისათვის ჰაიტის შიმშილობის ზღვარზეა, ექიმები და მედიკამენტები დაზარალებულებს არ ჰყოფნიან.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინათ ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი იმასაც ამბობდა, რომ აშშ-მ მიწისძვრა ჰაიტის მცოცავი ოკუპაციისათვის გაამოიყენა: „ისე არიან შეიარაღებული, თითქოს ომში მიდიან“. ღმერთო ჩემო, იქიარაღის ნაკლებობას არ განიცდიან“. უგო ჩავესმა ჰაიტისთვის ჯარისკაცებისა და იარაღის ნაცვლად

ექიმები და მედიკამენტები ითხოვა. თავად აშშ-მა, რა თქმა უნდა, ათასჯერ განაცხადა, რომ ეს ოკუპაცია კი არა, მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზრუნავს. საქმეში გაეროს ჩარევის შემდეგ კი იკისრა ვალდებულება, ჰუმანიტარული რეისებისათვის მიენიჭებინა უპირატესობა. სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა. როდესაც ასობით ათასი ჰაიტელის სიცოცხლე ბენზე კიდა, აეროპორტში სამხედროების საველე საპირფარეშოების, სამრეცხაობისა და სახაპეების ჩამოტვირთვას ვერ აუდიან. არადა, სტიქიური უბედურების შემდეგ ოფიციალურად ქვეყნის უსაფრთხოებაზე პენიტაცია კი არა, გაერო აგებს პასუხს. ჰაიტელები, რომლებმაც ვერა და ვერ მიიღწია ასობით ტონა ჰუმანიტარულმა ტვირთმა, ქურდობასა და ყაჩაღობაზე გადავიდნენ. აგრესია დღითიდღე მატულობს. ამერიკელებმა ვერტმფრენები დაიხიეს ჰუმანიტარული ტვირთის ჩამოყრა. ყველა ამგვარი აქცია საკვებისა და წყლისათვის მოზნუბარი ჰაიტელების დასახიჩრებითა და მკვლელობებით მთავრდება.

გარდა ამისა, კუნძულის მოსახლეობის დიდი ნაწილი ევაკუირებას საჭიროებს, ამერიკა კი ცალსახად უარს აცხადებს ჰაიტელებისათვის თავშესაფრის მიცემაზე. ვაშინგტონში ჰაიტის ელჩმა რიჩარდ ფოლკმა თავის თანამემამულეებს მიმართა: „ნუ ცვდებით, ნავეებით გაიქცეთ თქვენი ქვეყნიდან ამერიკაში. არ გეგონოთ, რომ, თუ აშშ-მდე მიაღწევთ, იქ ყველა კარი ღია დაგვდებათ. ზღვაშივე შეგიპყრობენ და უკან დაგაბრუნებენ“.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ფაქტი: აშშ-ში სასწრაფოდ ამზადებენ ციხეებს, რომლებშიც მოათავსებენ წესრიგის დაცვის ოპერაციებისას ამერიკელი სამხედროების მიერ გამოვლენილ დამრღვევებს. მათი დროებითი განთავსებისათვის საყოველთაოდ ცნობილ გუნტანამოს ციხეს გამოიყენებენ. ზოგიერთი ექსპერტი ირწმუნება, რომ კუნძულ-სახელმწიფოს „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ პროცესში აშშ სტიქიური უბედურებისა და უშიშმისი სოციალ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე მასობრივი გამოვლენის ჩახშობის სწავლებებს ჩაატარებს. გარდა ამისა, ჰაიტელებზე ამერიკელები უამრავი ტექნოლოგიის გამოცდას გეგმავენ. საიდენტოფიკაციო ჩიპების ინჰალანტაციის პირველი ობიექტები ჰაიტელები იქნებიან.

შეგახსენებთ, რომ საუბარია თურქეთისა და სომხეთის მიერ გასული წლის 10 ოქტომბერს ხელმოწერილ დოკუმენტებზე — „დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროტოკოლსა“ და „ორმხრივი ურთიერთობების დამყარების პროტოკოლს“. დოკუმენტებს ხელი მოაწერეს თურქეთისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრები. თურქეთის ხელისუფლებამ ამ საკითხის აღიარებას არ აპირებს. გენოციდის აღიარება ქვეყანას უამრავ პრობლემას გაუჩენს. ქვეყანაში შექმნილი საზოგადოებრივი

## სომხურ-თურქული როგანი დაიბზარა

სომხურ-თურქული ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი საფრთხის ქვეშაა. თურქული პრესა იუნჯება, რომ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ერდოგანმა სომხურ-თურქულ პროტოკოლებთან დაკავშირებული სომხეთის კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილება სასტიკად გააკრიტიკა. მან ერევანი გააფრთხილა, რომ, თუ ეს უკანასკნელი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ შეცვლის, დაახლოების პროცესი შეჩერდება.

რამ საკითხი ამით არ მოგვარებულია. სომხურ-თურქული ურთიერთობების კრიზისმა, ცხადია, აზერბაიჯანის დაუფარავი კმაყოფილება გამოიწვია. პოლიტოლოგმა ვუგარ სეიდოვმა განაცხადა, რომ „სომხეთში შიდა აუდიტორიაზე გათვალის და მის მეტ-ნაკლებად შეუირებელ ნაწილს დამამკვიდრებელი აზრები ესროლეს, მაგრამ აბსოლუტურად არ გაითვალისწინეს ანკარის შესაძლო რეაქცია. არადა, ეს რეაქცია პროგნოზირებადი იყო. სომხეთში ამაზე არ უფიქრობთ და თავად მიიტანეს პროტოკოლები ნავის ურნამდე, ამით კი აზერბაიჯანის ნისქილზე დაასხეს წყალი... საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მართლაც, მკვეთრად სცილდება ხელმოწერილი პროტოკოლების შინაარსსა და ფორმას“.

აზრიც ხელისუფლებისას იზიარებს. მეორეს მხრივ, სომხეთის ხელისუფლებას მშვენივრად ესმის, რომ თურქეთთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება აუცილებელია, თანაც, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მიმართულებით, მაგრამ არ შეუძლია არ გაითვალისწინოს თავისი მოსახლეობის აზრი და დამოკიდებულება აღნიშნულთან დაკავშირებით. სომხებისათვის 1915 წლის გენოციდის აღიარების მიღწევა ერთ-ერთ უმთავრეს ეროვნულ ამოცანად იქცა. ამის გამო ქვეყნის ხელისუფლებისათვის ძალზე რთულია, ისე მოურიგდეს თურქეთს, რომ საკუთარი ხალხის აღმფთვება არ გამოინვიოს.

12 იანვარს სომხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ სომხურ-თურქული პროტოკოლები ქვეყნის ძირითადი კანონის შესაბამისად მიიჩნია. მაგრამ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ პროტოკოლების გამოყენება არ შეიძლება იმგვარი ფორმით, რომ შესაძლებელი გახდეს საუბარი სომხეთის კონსტიტუციისა და სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მე-11 პუნქტის დარღვევაზე. აღნიშნულ პუნქტში ნათქვამია, რომ „სომხეთის რესპუბლიკა მხარს უჭერს 1915 წელს ოსმალურ თურქეთსა და დასავლეთ სომხეთში სომხების გენოციდის საერთაშორისო აღიარების პროცესს“.

რასაკვირველია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეს პუნქტი თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან კრიტიკას გამოიწვევდა. ეს უკანასკნელი თვლის, რომ ამგვარი შინაარსი პროტოკოლების შინაარსსა და განწყობას ეწინააღმდეგება. „აღნიშნული გადაწყვეტილება ეჭვქვეშ აყენებს პროტოკოლების განხილვის აუცილებლობას და ეწინააღმდეგება ამ დოკუმენტების მთავარი მიზნის მიღწევას“, — აღნიშნულია თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. ამავე დროს სომხეთში აცხადებენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კომენტაჟები თავად დოკუმენტებში, რომლის რატიფიცირებაც პარლამენტმა უნდა მოახდინოს, რაიმე ცვლილებების შეტანას არ ითვალისწინებს.

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის — ბურაკ ოზუგერჯინის თქმით, სომხური მხარის ინიციატივით ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ტელეფონით ისაუბრეს, მაგ-

თურქეთისა და სომხეთის მიერ გასული წლის 10 ოქტომბერს ხელმოწერილ დოკუმენტებზე — „დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროტოკოლს“ და „ორმხრივი ურთიერთობების დამყარების პროტოკოლს“. დოკუმენტებს ხელი მოაწერეს თურქეთისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრები — ახმეტ დავუტოვლუმ და ედვარდ ნალბანდიანმა. ცერემონიას აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ესწრებოდა.

# აშშ ასალ ომს აგზადებს

აშშ თავგამოდებით ირწმუნება, რომ „ალ-ქაიდა“, რომლის გავლენაც მსოფლიოს მრავალ რეგიონს გადასწვდა, ინდოეთსა და პაკისტანს შორის ომის პროვოცირებას ცდილობს. ამით ამერიკა თანდათანობით ამზადებს მსოფლიოს ანტიტერორისტული ბრძოლის ახალი ეტაპისთვის. ექსპერტები ამერიკელებთან შეთანხმებას არ ჩქარობენ.



აშშ-ის სპეციალური ოპერაციების მეთაური ადმირალი ერიკ ოლსონი აცხადებს, რომ „ერაყში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ორ ათეულზე მეტი ჯგუფი დამკვიდრდა“.

ცოტა ხნის წინათ დამსახურებულმა ინდოელმა დიპლომატმა, ნარსულში საბჭოთა კავშირში, გერმანიაში, ავღანეთში, პაკისტანსა და თურქეთში ქვეყნის ელჩმა ბხადკუ-მარმა განაცხადა, რომ იემენში ამერიკის ახალი სტრატეგია სინამდვილეში ჩინეთის წინააღმდეგაა მიმართული.

გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა რობერტ მიულერმა კანონმდებლებს კიდევ ერთი საიდუმლო გაუმხილა. თურმე ტერორისტებს შორის ამერიკელები — სასჯელმთავარი და გაისლამის ტელევიზიის დამნაშავეები გაჩნდნენ. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ისინი საზღვარგარეთ გაემგზავრნენ და „ალ-ქაიდას“ ბანაკებში გაიარეს სწავლება. მაგალითად, ვითომ არაბული ენის შესასწავლად შარშან იემენში 36 ყოფილი პატიმარი გაემგზავრა.

მისი თქმით, იემენში ომში ჩაბმით აშშ რეგიონში საკუთარი პოზიციების გაძლიერებას — სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადენის პორტის, ეგრეთ წოდებული აზიის კარიბჭის ხელში ჩაგდებას ცდილობს, რითაც ჩინეთს დაუმტკიცებს, რომ რეგიონში ამერიკული გავლენის დასასრულზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა.

ამავე დროს ვაშინგტონში თვლიან, რომ ინდოეთიც ომის საფრთხის წინაშე დგას. ამ რამდენიმე დღის წინ პენტაგონის ხელმძღვანელი რობერტს გეიტსი თავად ეწვია ინდოეთს და განაცხადა, რომ „ალ-ქაიდა“ სამხრეთ-აზიის რეგიონის დესტაბილიზაციას ცდილობს. გეიტსის მტკიცებით, ტერორისტულმა ორგანიზაციამ ავღანეთისა და პაკისტანის „თალიბანისა“ და „ლშკარ-ე-ტაიბას“ განაშენიანა „სინდიკატი“ — დაჯგუფება, რომელიც პაკისტანშია ბაზირებული და რომელიც 2008 წელს ინდოეთის მუშ-

ბაის დაესხა თავს. თავდაცვის მინისტრის მტკიცებით, „სინდიკატი“ მთავარი მიზანი ინდოეთსა და პაკისტანს შორის კონფლიქტის პროვოცირებაა, ამიტომ ტერორისტები ინდოეთზე და რეგიონისათვის ახალ ობიექტებს ეძებენ. ამერიკელები თვლიან, რომ ამ პირობებში დეუს შეიძლება მოთმინების ძაფი გაუწყდეს და რეგიონში მასშტაბური საომარი კონფლიქტი განვითარდეს.

საერთოდ, ამერიკელი ოფიციალური პირები თვლიან, რომ იემენი ისლამისტიების დასაყრდენ ბაზად იქცა. ვაშინგტონმა და ლონდონმა განაცხადეს, რომ „ალ-ქაიდას“ ადგილობრივი დანაყოფების წინააღმდეგ ბრძოლას დააფინანსებენ. ქვეყნის სპეცსამსახურები უკვე მთელი ძალით შეეჭიდნენ ანტიტერორისტულ ოპერაციებს, რომლებშიც სამხედრო-საპაერო ძალების ბომბდამშენებლები მონაწილეობენ.

ექსპერტები ამ აზრს არ იზიარებენ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ფელიქს იონოვი თვლის, რომ ინდოეთს პაკისტანთან მიმართებაში ძალზე მოკრძალებული პოზიცია აქვს და ომი მისთვის ყოველგვარ აზრსაა მოკლებული. დელი ახლა გვალვისა და ფინანსური კრიზისის შედეგებთან ბრძოლითა დაკავებული და პაკისტანთან დაპირისპირება იქ არავის სჭირდება. ცოტა ხნის წინ ამერიკის სახელმწი-

ფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ იემენში შექმნილი მდგომარეობა მთელი მსოფლიოს უსაფრთხოებას ემუქრება და ხელისუფლება „ალ-ქაიდას“ მიმართ უყურადღებობაში დაადანაშაულა. მისი გამოცხადებით, კი გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ „2010 ფინანსური წლის განმავლობაში პრეზიდენტმა იემენისათვის ფინანსური დახმარების მნიშვნელოვნად გაზრდა მოითხოვა. 2009 წელს ამ ქვეყნის განვითარებასა და უსაფრთხოებისათვის 40,3 მილიონი დოლარი დაიხარჯა, 2010 წელს კი პირდაპირი ფინანსური დახმარების სახით 52,5 მილიონი დოლარი გაიყენა... ვიქედოვნებთ, რომ მთლიანობაში დახმარება 63 მილიონ დოლარს შეადგენს“. ეს თანხა 56%-ით აღემატება შარშანდელს და 225%-ით — შარშანწინდელს. ასე რომ, რეგიონში ამერიკული ანტიტერორისტული მოღვაწეობა „ოქროს ხანაში“ შედის.

# ჩრდილოეთ კავკასიის «მოთვიანიკება»

ჩრდილოეთ კავკასიის ველაშეკმენილ ფედერალურ ოლქს, რომლის ცენტრი ქალაქი პიატიგორსკი იქნება, ალექსანდრე ხლოპონინი უხელმძღვანელებს. იგი რუსეთის პრეზიდენტმა თავის უფლებამოსილ წარმომადგენლად დანიშნა და ჩეჩნეთის, ინგუშეთის, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩეჩენეთის, ჩრდილო ოსეთისა და სტავროპოლის მხარის კონტროლი დაავალა. მისი მთავარი ამოცანაა, კავკასიაში ყველანაირი ბუნტი ჩააცხროს.



ლემის კონტროლიც ევალება. გარდა ამისა, პრემიერმა ბრძანა, რომ გეგმაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი რა, როდის, რისთვის, რა დროში და რა სახსრების ხარჯზე უნდა გაკეთდეს.

როგორც უცხოური პრესა იუწყებოდა, ამ სვლით მოსკოვი ცდილობს, კავკასიაში სიტუაცია გააკონტროლოს და რუსეთის მთელ ტერიტორიაზე ისლამური ტერორიზმის გავრცელების საფრთხე თავიდან აიცილოს.

როგორც თავად პრეზიდენტმა აღნიშნა, რუსეთის შიდა პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა იქ გამეფებული ძალადობაა. ამ მთავარი პრობლემის მოსაგვარებლად კი მედვედევმა ხლოპონინს მხოლოდ თავისი წარმომადგენლის უფლებამოსილება კი არა, ვიცე-პრემიერობაც მისცა, ეს კი პრეზიდენტის სხვა 7 წარმომადგენლიდან აქამდე არავის მიუღია.

ნელს — ალექსანდრე ხლოპონინს ოლქის განვითარების კომპლექსური სტრატეგიის შემუშავება დაავალა.

როგორც თავად პრეზიდენტმა აღნიშნა, რუსეთის შიდა პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა იქ გამეფებული ძალადობაა. ამ მთავარი პრობლემის მოსაგვარებლად კი მედვედევმა ხლოპონინს მხოლოდ თავისი წარმომადგენლის უფლებამოსილება კი არა, ვიცე-პრემიერობაც მისცა, ეს კი პრეზიდენტის სხვა 7 წარმომადგენლიდან აქამდე არავის მიუღია. ახლა ხლოპონინმა, რომელიც პირდაპირ მთავრობის ხელმძღვანელს — ვლადიმერ პუტინის დაექვემდებარება, კავკასიაში კიდევ უნდა „მოათვინიეროს“ და იქ ეფექტური მედვედევების უნდა განახორციელოს.

ჩრდილოეთ კავკასიის ფედერაციული ოლქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება რუსეთის პრემიერის — ვლადიმერ პუტინის მიერ რამდენიმე დღის წინ პიატიგორსკში გამართული თათბირის მთავარ თემად იქცა. მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ ბანდოფორმირებებზე განხილვების შემდეგ საჭირო იქნება კიდევ ერთი, „არანაკლებ რთული“ საკითხის მოგვარება და პრეზიდენტის სრულყოფილი წარმომადგე-

ნელს — ალექსანდრე ხლოპონინს ოლქის განვითარების კომპლექსური სტრატეგიის შემუშავება დაავალა. პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთის ძალიან ძვირად დაუჯდა საერთაშორისო ტერორიზმის აფრთხილის მოგერიება და „მთადაწინა პლანზე რეჟიმთან გამკლავება, ვინც ჩეჩნეთში ხელში ჩაიგდო ხელისუფლება და თავს ესხმოდან მეზობელ რესპუბლიკებს... სახელმწიფო ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ მას ხელეწიფება, უზრუნველყოს უსაფრთხოება, სამართლიანობა და კანონის პატივისცემა, გაამყაროს სტაბილურობა, სამოქალაქო მშვიდობა და ეროვნებათშორისი თანხმობა, მიიღოს გადაწყვეტილება გარდატეხის ჩრდილოეთ კავკასიის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში“.

პუტინის თქმით, ჩრდილოეთ კავკასიაში მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს სახლის ცხოვრების დონე, რასაც ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის პროექტები უზრუნველყოფენ.

როგორც ამბობენ, ჩრდილო კავკასიის ფედერალური ოლქის ახალი მმართველი მოუს-

ამასთანავე, პუტინმა დასძინა: „ჩვენ არასდროს დაუშვებთ ჩვენს სამინაო საქმეებში სხვის ჩარევას“. ხლოპონინს ახლა მხოლოდ კომპლექსური გეგმის შემუშავება კი არა, მისი განხორციე-

პრემიერის განკარგულებით საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე უმკაცრესი კონტროლი დაწესდება, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის კი ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობები შეიქმნება.

დანიური ავიაკომპანია „Cimber Sterling“-ის ხელმძღვანელმა იაკობ კროგსგორმა ბოდიში მოუხადა ნორვეგიულ კონკურენტ ავიაკომპანია „Norwegian Air“-ს, რომელსაც მისმა თანამშრომლებმა ყალბ სახელებზე ასობით ბილეთი დაუკვეთეს.

„Norwegian Air“-მა მოახსოვებია, რომლის ფარგლებშიც კომპანია დაიწყო კარუბამდე ფრენა მხოლოდ ერთი კრონი ღირსად, მაგრამ პირველ რეისზე რეგისტრაცია მხოლოდ 30-მა მგზავრმა გაიარა. დაჯავშნული ბილეთების სიის გადა-

მონუმენტისა გაირკვა, რომ ისინი შეკვეთილი იყო, ძირითადად, ფილმებისა და მულტიმედია გმირების სახელებზე; მაგალითად, დონალდ დაკის. ერთი ბილეთი თვით „Norwegian Air“-ის ხელმძღვანელისთვისაც არ დაინახეს.



# ჩატომ გამოასახლეს თაგვები ბუნდესტაგში?

ბუნდესტაგში მოზინდრე თაგვები იმდენად გაათავებდნენ, რომ კანონმდებლებს საკუთარი სამსახურებრივი ავტოლობის შესრულებას აღარ მოვლდნენ.



სიცოცხლისთვის თავის დასაღწევად თაგვებმა ყველაზე საიმედო ადგილი სამთავრობო კვარტალში მდებარე პაულ-ლეხეს სახლის სარდაფში დეპუტატების მისაღებებისა და ბიუროს ქვეშ იპოვეს. მათგან

შენობის გასათავისუფლებლად სპეციალისტებს ცხოველთა უფლებების გათვალისწინება მოუხდათ და მუშაობისას მხოლოდ ის სათავურები გამოიყენეს, რომლებიც თაგვების სიცოცხლეს საფრთხეს არ შეუქმნიდა. ბუნდესტაგიდან გამოსახლებული 17 თაგვი ბერლინიდან ბრანდენბურგში გაამგზავრეს და მათთვის ხელსაყრელ გარემოში გაუშვეს. გადასახლების გადაწყვეტილებას თითო თაგვის გადასახლება 88,2 ევრო დაუჯდა.

# ჩაბდენი კბილი აქვს ბერლუსკონის?

იტალიის პრემიერმინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ გასული წლის დეკემბრის თავდასხმის შემდეგ მხოლოდ 35 კბილია დარჩა. პრემიერს ამ ამბის შემდეგ მხოლოდ ერთი კბილის ამოღება მოუხდა.

მართალია, 35 კბილის ამარა დარჩენილ ბერლუსკონის არ დაუკონკრეტებია, რამდენს მიიჩნევს ნორმად, მაგრამ მთელმა მსოფლიომ მშვენიერად იცის, რომ ზრდასრულ ადამიანს მხოლოდ 32 კბილი აქვს. ბერლუსკონის მილანში თავს დაესხა სულით ავადმყოფი მასიმო ტარტე-ლია და მილანის ტაძრის მასიური სტატუა-სუვენირი ესროლა. მაშინ იტყობინებოდნენ, რომ პრემიერს ცხვირი გაუტყდა და რამდენიმე კბილი ჩაემტკრა.



# ვლადიმერ გოიაშვილის ახლანილი ოცნება

თბილისში, მდინარე მტკვარზე, აშენებულმა ჩელუსკინელის ხიდმა დაჩრდილა ბორანი, მაგრამ ვერ შეცვალა, იმიტომ, რომ მისი საშუალებით მტკვრის მარცხენა სანაპიროდან ქალაქელი ბიჭები ჩვენთვის საყვარელ ადგილს — „კუპალნიას“ ვუკავშირდებით. აქედან იწყება ჩვენი ურთიერთობა ცურვასთან, „კუპალნიასთან“ და ვერაგ მტკვართან.

სიტყვა „ვერაგი“ შემთხვევით არ მოთქვამს — მტკვარი ყოველთვის საშიში და დაუწოდებელი მდინარე იყო. უამრავი ახალგაზრდა შეენიარა ცურვის არცოდნას. სულმნათი ილია „გლახის ნაამბობში“ მტკვარს ასე მოიხსენიებს: „ხალხი და დედაკაცობა მგეროვილი იყო მტკვრის გადასახედზედ. იმათი ჟღავი-ულუვი, ალიაქოთი კაცს დააყრუებდა. დედაკაცების საცოდაობას კი, ნულარ მკითხავთ, სულ „ვიმ ვიმ“ გაჰქონდა. რომ დაინახეს მღვდელი მოდისო, ერთობ სიხარულით დაიგრიანეს: მღვდელი მოვიდა, მღვდელი! მადლობა ღმერთსა, ქრისტიანი სული აღარ დაიხრჩობაო“. თურმე მღვდელს ბევრი გადაურჩენია მტკვარში დახრჩობისაგან, რადგან კარგად ცურავდა და ამავე დროს კეთილი ადამიანი იყო.

ზოგჯერ პირიქითაც ხდებოდა, მაშველი განარულს გადაარჩენდა და თვითონ იღუპებოდა. ამის ნათელი მაგალითია მიხეილ თამარაშვილი და გურამ რჩეულიშვილი. მოგონებებმა შორს რომ არ წაგვიყვანოს, როგორც იტყ-

ვიან, საქმესთან ახლოს მივიდეთ. ბორანზე, მტკვარში ცურვისას თუ „კუპალნიას“ ახლომახლო ტერიტორიაზე გავიცანი ერთი ნალდი ქალაქელი ბიჭი — ვოვა. ამ დროს აუზი ძალზე მარტივი და პრიმიტიული იყო. ფიცრებით შემოლობილი და გრძელი სკამებით განწყობილი. შევსება მტკვრის წყლით, საქარის საშუალებით ხდებოდა.

ბორანიდან გადმომხტარმა ბიჭებმა ვიცოდით, ადვილად შესაძრომი ადგილები სად იყო. შევძვრებოდით თუ არა, პირდაპირ აუზში ამოვყოფდით თავს. ეს გზა გამოიარეს პეტრე მშენებელმა (მომავალში მსოფლიო მნიშვნელობის წყალბურთელმა, საბჭოთა კავშირის ნაკრების უცვლელმა კაპიტანმა 14 წლის განმავლობაში) და მასზე ასაკით უმცროსმა ცნობილმა წყალბურთელმა ბორია მეგედმა და ამჟამად „ლაგუნა-ვერეს“ დირექტორმა ვლადიმერ გოიაშვილმა.



ვლადიმერ გოიაშვილი და ვერაგ მტკვართან ერთად

საინტერესოა, საიდან იწყება ახლანდელი აუზის ისტორია და ამ აუზთან დაკავშირებული ვლადიმერ გოიაშვილის მოღვაწეობა?

იგი საწყლოსნო სპორტზე მთელი არსებით იმდენად იყო შეყვარებული, რომ იქვე ახლოს, „კუპალნიას“ ეზოში, კრივის სექციაში ჩაენერა. მცემდნენ და აუზისკენ ვიყუებოდით, ღიმილით იგონებს

ვოვა. ჰოდა, როგორც იქნა ცურვის სექციაში მიიღო მწვრთნელმა ნასკოვმა. ასე დაიწყო პატარა ვოვას აკვანი საწყლოსნო სპორტი. მისთვის აუზის კარი კანონიერად გაიღო. ბორანიდან აუზის კედელზე გადაძრომაც ისტორიას ჩაბარდა. ცოტა ხანში სპორტის თანრიგოსანი გახდა და სამკერდე ნიშანიც მიიღო. ახალთახალი პერანგი გახვრიტა და დაიბნია, რის გამოც დედამ ორივე ყური აუწია.

გავიდა დრო, ბორანი მტკვარმა წაიღო, საყვარელი „კუპალნია“ დაანგრეს და მის ადგილას პრესტიჟული რესტორანი „არაგვი“ ააშენეს. საწყლოსნო სპორტი და, რა თქმა უნდა, საცურაო აუზი უყურადღებოდ არ დარჩენილა. თბილისში 1965 წელს დაიწყო გმირთა მოედნისა და საცურაო აუზის სპორტული კომპლექსის მშენებლობა. თბილისის კომიტეტის დადგენილებით ორივე ობიექტი №1 მშენებარე ობიექტებად გამოცხადდა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო შეფერხებები მიიწვი იყო.

კომპლექსის მშენებლობის დირექტორად ვლადიმერ გოიაშვილი დაინიშნა. აქედან იწყება მისი დაუღალავი, თითქმის 24-საათიანი მუშაობა. ბევრჯერ მინახავს, როგორ ათვალიერებდა ფუნდამენტს მზისგან გარუჯული თუ სიცხისგან გათოშილი. როგორც იქნა, გრანდიოზული მშენებლობა 1978 წლის 13 ოქტომბერს დასრულდა. „ლაგუნა-ვერეს“ გენერალურ დირექტორად ვლადიმერ გოიაშვილი დაინიშნა. იოლი არ იყო 150-კაციანი კოლექტივის ხელმძღვანელობა და გამუდმებული ზრუნვა კომპლექსზე, ყოველდღიური ურთიერთობა მწვრთნელებთან, სპორტსმენებთან, სხვადასხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, ახალგაზრდა მოცურავეებთან, ბავშვებთან და მათ მშობლებთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ლაგუნა-ვერე“ ძნელბედოგენილებით ორივე ობიექტი №1 მშენებარე ობიექტებად გამოცხადდა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო შეფერხებები მიიწვი იყო. საწყლოსნო სპორტული

ვერ არავინ გამოსულა უკმაყოფილო. ქველმოქმედება მისთვის მონოდება და შედეგების დაგვარად ყველას დახმარებას ცდილობს, ან გარდაცვლილი სპორტსმენების ოჯახის წევრებს აფასებს.

საინტერესოა, მის მიერ ათი წლის ასაკში ჩადენილი „დანაშაული“: „მე და ჩემი ბავშვობის მეგობარი, ეროვნებით ბერძენი სერაფიმიდი, — იგონებს ვოვა, — ჩვენი ბავშვური გადაწყვეტილებით ფრონტზე წავედით. 1945 წელია, საბჭოთა არმია უკვე ბერლინშია. დედები გვეძებენ, მამები რკინიგზაზე მუშაობდნენ. სამამულო მომის დამთავრებამ არმავიერში მოგვისწრო. დაგვიჭირეს და თბილისში ეტაპით ჩამოგვიყვანეს“.

1935 წელს თბილისში, სვანეთის უბანში, დაბადებული პატარა ვოვა შემდგომში ვლადიმერ გოიაშვილი დაინიშნა. აქედან იწყება მისი დაუღალავი, თითქმის 24-საათიანი მუშაობა. ბევრჯერ მინახავს, როგორ ათვალიერებდა ფუნდამენტს მზისგან გარუჯული თუ სიცხისგან გათოშილი. როგორც იქნა, გრანდიოზული მშენებლობა 1978 წლის 13 ოქტომბერს დასრულდა. „ლაგუნა-ვერეს“ გენერალურ დირექტორად ვლადიმერ გოიაშვილი დაინიშნა. იოლი არ იყო 150-კაციანი კოლექტივის ხელმძღვანელობა და გამუდმებული ზრუნვა კომპლექსზე, ყოველდღიური ურთიერთობა მწვრთნელებთან, სპორტსმენებთან, სხვადასხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, ახალგაზრდა მოცურავეებთან, ბავშვებთან და მათ მშობლებთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ლაგუნა-ვერე“ ძნელბედოგენილებით ორივე ობიექტი №1 მშენებარე ობიექტებად გამოცხადდა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო შეფერხებები მიიწვი იყო.

რაღაც შეეხება „ლაგუნა-ვერეს“, იგი ცნობილია ქველმოქმედება და მამულოშვილმა ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა.

ნიკოლოზიფანაძის მინიატურაში „იყიდება საქართველო“ დანალვლიანებული მწერლის გულისტკივილი მთაბეჭდავად არის გადმოცემული. თუმცა, ალბათ, ძნელად მოიძებნება ადამიანი, ვისაც იმგვარად ექნება გათავისებულის ანდერძი — „მოუარეთ საქართველოს!“ — როგორც სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ მეცენატს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს.

შანი სინარულია



ავტორი მშენებარეობისთან ერთად

**მსოფლიოში პირველი ჩაპროდუქციული ჯანმრთელობის სანტარი —**

**ი. უორდანიას სახელობის ადამიანის ჩაპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**

**გთავაზობთ საპედიტორ დახმარებას**

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევას და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონული, გენეტიკური, იმუნოლოგიური, ექსოკოპიური, ენდოსკოპიური გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნური ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებს და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტური კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77**

**მედიაანიუსი**

საინფორმაციო სააგენტო

<http://www.medianews.ge>

**პირველი**

საინფორმაციო სააგენტო

pirweli.com.ge

**საქართველო**

ესტუბრით ჩვენს სიბს

<http://www.geworld.net>

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა  
 მთავარი რედაქტორის მოადგილეები:  
 არმაზ სანაბლიძე, გონდო მკინარაშვილი  
 ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანდუაშვილი  
 ვებრედაქტორი გორა ხაბთაძე  
 რეალიზაციის მენეჯერი ღმრთი შუაქაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაქაძე,  
 რეკლამის მენეჯერი ეთარ კასრაიშვილი (899 110 200)  
 გაზეთის ხელმძღვანელოვს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
 მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5  
 ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net

**www.fact.ge**

ACM Group